საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

30 აპრ 2024 წ.

KA000014915546924

№ 2024/841

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილი თანამშრომლ(ებ)ის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე [redacted] წარმომადგენლის, [redacted] განცხადება,[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან [redacted] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

საქმის შესწავლის პროცესში აპარატმა გამოითხოვა და შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ [redacted] საჩივარში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლ(ებ)ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, რასთან დაკავშირებითაც მიზანშეწონილია დისციპლინური წარმოების ჩატარება.

ფაქტობრივი გარემოებები

2023 წლის 31 ივლისს, [redacted] წარმომადგენელმა, [redacted] სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგინა საჩივარი.[2] განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 2023 წლის 21 ივლისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეექვსე განყოფილების თანამშრომლებმა, ქ. ბათუმში, ბულვარის ტერიტორიაზე, მისივე საკუთრებაში არსებულ რესტორან [redacted]" ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დააკავეს [redacted]

წარმოდგენილი ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლები შეიჭრნენ [redacted] საკუთრებაში არსებული რესტორნის შიდა ტერიტორიაზე ისე, რომ [redacted] არ გახუმარტეს, თუ რა ხდებოდა და რა მიზნით გამოცხადდნენ რესტორანში, ესაუბრნეს ხმამაღალი და უხეში ტონით, რის შემდეგაც, ყოველგვარი განმარტების გარეშე, უსაფუძვლოდ დააკავეს, თითქოსდა სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებაში პოლიციის თანამშრომლისთვის ხელის შეშლისა და მისი სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო.[3]

[redacted] წარმომადგენლის განმარტებით, დაკავებისას, [redacted] ხელბორკილით ხელები უკან შეუკრეს და მჭიდროდ მოუჭირეს. ვინაიდან, ხელბორკილი ძალიან უჭერდა, დაკავებულმა მოითხოვა ხელების წინ შეკვრა და ხელბორკილის ოდნავ შეხსნა, რაზეც „ცინიკურად უთხრეს, რომ კანონში არსად წერია, რა დონეზე უნდა იყოს მოჭერილი ხელბორკილი, ან წინ უნდა იყოს შეკრული ხელები თუ უკან".

[redacted] განმარტავს, რომ თავად არის [redacted] ოჯახის წევრი და თან ადვოკატი, ყველა საქმეში იცავს მის უფლებებს. შესაბამისად, მას ადვოკატის ძებნა არ დასჭირდებოდა და ინფორმირების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაიცავდა დაკავებულის უფლებებს. თუმცა, პოლიციის თანამშრომლებმა არც თავად შესთავაზეს დაკავებულს ადვოკატის მოწვევა და არც დაკავებულის დაჟინებული მოთხოვნა გაითვალისწინეს, რომელსაც სურდა მასთან დარეკვა. გარდა აბისა, [redacted] აღნიშნავს, რომ ოჯახისთვის [redacted] ადგილსამყოფელი 2023 წლის 22 ივლისის საღამოძდე, სანამ არ დასრულდა სასამართლო სხდომა, უცხობი იყო. ოჯახისთვის არავის უცნობებია მისი დაკავების შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და გამოითხოვა ინფორმაცია [redacted] საჩივარში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით განხორციელებული რეაგირების შესახებ.[4] გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, [redacted] უფლების დარღვევისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.[5]

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და შეისწავლა [redacted] სავარაუდო უფლების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[6]

სამსახურებრივი შემოწმების მასალები

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სახალხო დამცველის აპარატს წარუდგინა სამსახურებრივი შემოწმების შემდეგი მასალები:

- [redacted] საჩივრები;
- [redacted] მიერ წარდგენილი, რესტორან [redacted] ვიდეო ჩანაწერი, რომელზეც ასახულია [redacted] დაკავების ფაქტი;
- ვიდეო ჩანაწერის დათვალიერების ოქმი;
- [redacted] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები და ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, რომლის თანახმად, [redacted] მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო;
- პოლიციის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებები;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიმართვა და [redacted] გასაუბრების ოქმი.[7]

სახალხო დამცველის აპარატმა მითითებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიიღო უფრო დეტალური ინფორმაცია [redacted] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

კერძოდ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელთან გასაუბრებისას, [redacted] დაადასტურა [redacted] საჩივარში დაფიქსირებული გარემოებები და დამატებით განმარტა, რომ როდესაც ჰკითხა რესტორანში შესულ პოლიციის თანამშრომლებს, თუ რით შეეძლო მათი დახმარება, ერთ-ერთმა პოლიციის თანამშრომელმა, [redacted] **უხეშად უპასუხა - „შენ რითი უნდა დაგვეხმარო“-ო.** [redacted] განუმარტა, რომ რესტორნის მესაკუთრე იყო და მასზე უკეთ ვერავინ შეძლებდა დახმარებას, რაზეც [redacted] უთხრა, რომ მიღებული ჰქონდა შეტყობინება. ხოლო შეტყობინების შესახებ როცა ჰკითხა, [redacted] **უპასუხა - „ახლა შენ უნდა გაბარო „აჩოტები“, რა შეტყობინება მქონდა“-ო.**

[redacted] გადმოცემით, [redacted] **მოსთხოვა სამსახურებრივი მოწმობა, რამაც ის გააღიზიანა, გახდა აგრესიული, დაიწყო ყვირილი და ხმამაღლა უთხრა, რომ მისი საქმე არ იყო, თუ რისთვის იყო მისული რესტორანში და თავი დაენებებინა.** ვინაიდან, [redacted] აგრძელებდა მისგან ინფორმაციის მიღების მცდელობას, [redacted] შესაბამისი საფუძვლის განმარტების გარეშე დააკავა. მისივე თქმით, მათ შორის კომუნიკაციისა და დაკავების ფაქტს შეესწრნენ რესტორანში მყოფი პირები, მათ შორის, რესტორნის თანამშრომლები.

დაკავებულმა აღნიშნა, რომ [redacted] ზურგსუკან დაადო ხელბორკილი და მჭიდროდ მოუჭირა. მისივე თქმით, [redacted] **უთხრა, რომ მაჯების არეში განიცდიდა ტკივილს და სთხოვა ხელბორკილის წინა მხარეს გადმოტანა, რაც არ გაითვალისწინა. ასეთ მდგომარეობაში ჩასვეს მანქანაში და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში.**

[redacted] განმარტებით, პოლიციის მეექვსე განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, ორი საათის განძავლობაში, 10-15-ჯერ მაინც მოსთხოვა თანამშრომლებს ხელბორკილის წინ გადმოტანა, ვინაიდან, მაჯებზე განიცდიდა ძლიერ ტკივილს, თუმცა მისი თხოვნა არ გაითვალისწინეს. აღნიშნა, რომ **დივანი, სადაც მიყვანისას განათავსეს, იყო დაზიანებული და უკან შეკრული ხელებით ნორმალურად როცა ჯდებოდა, დივანიდან ვარდებოდა. ამიტომ, იძულებული იყო, დამჯდარიყო დივანის განაპირა მხარეს.**

[redacted] ასევე მიუთითა, რომ როდესაც [redacted] მოსთხოვა წყალი, ის მივიდა მასთან, ჯიბეები ამოუტრიალა და ნივთები გაუჩხრიკა. დაკავებულმა ჩხრეკაზე გარეშე პირების დასწრება მოითხოვა, რაზეც [redacted] **აგრესიულად უპასუხა - „მოწმეები მოინდომე კიდევ, ბევრი არ ილაპარაკო თორემ შენს ჯიბეში ნარკოტიკი აღმოჩნდება“-ო.** [redacted] **მოითხოვა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირება, რის შესაძლებლობაც არ მისცეს.**

გასაუბრების ოქმის თანახმად, პოლიციის მეექვსე განყოფილებაში [redacted] იმყოფებოდა დაახლოებით ორი საათის განმავლობაში. ამ პერიოდში, არაერთხელ მოითხოვა ხელბორკილის მოშვება,

თუმცა ხელბორკილი მოხსნეს, როდესაც დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. მანამდე, მის მოთხოვნას [redacted] ყურადღებას არ აქცევდა, ხოლო სხვა პოლიციის თანამშრომელმა უთხრა, რომ ხელბორკილის მოხსნის შემთხვევაში, [redacted] გაბრაზდებოდა.

წარმოდგენილი სამსახურებრივი შემოწმების მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ პოლიციის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების მოპოვების გარდა, სხვა მოქმედება არ ჩაატარა. დაკავების ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, თავად [redacted] წარმომადგენელმა წარადგინა. გენერალური ინსპექციის ყურადღების მიღმა დარჩა დაკავებულის მიერ დაფიქსირებული ცალკეული, სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტები, რაც ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ყოველმხრივობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა ყველა პოლიციელს ავალდებულებს თავის საქმიანობაში განუხრელად დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპები.[8]

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[9] საპოლიციო ღონისძიების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.[10]

სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთ-ერთი ამოცანაა.[11]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[12] აგრეთვე უფლებამოსილია, ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება.[13]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გენერალურ ინსპექციას ინფორმაციის მოპოვება მრავალი სხვადასხვა წყაროდან შეუძლია. მიუხედავად უფლებამოსილების ფართო სპექტრისა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა სარჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება, სამწუხაროდ, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რასაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეთა მომართვიანობა და შემოწმების შედეგები ადასტურებს.[14]

სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევისა და გენერალური ინსპექციების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტიანობასთან დაკავშირებით. აპარატმა შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე - საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კვლევის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში აისახა.[15] ამავე საკითხზე, სახალხო დამცველის აპარატი საუბრობს ასევე 2022 და 2023 წლის ანგარიშებშიც.[16]

წინამდებარე საქმის ანალიზი

წინამდებარე საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილი და ცალმხრივია, ვინაიდან, საბოლოო გადაწყვეტილება არ ეფუძნება ყველა შესაძლო წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ [redacted] მიერ გენერალურ ინსპექციაში წარდგენილი ვიდეო ჩანაწერის თანახმად, [redacted] და [redacted] კომუნიკაციას ესწრებოდა რამდენიმე ადამიანი. კერძოდ, როდესაც [redacted] და [redacted] საუბრობდნენ, მათ სიახლოვეს იდგა ერთი პოლიციის თანამშრომელი და რამდენიმე სამოქალაქო ტანსაცმელში

გამოწყობილი პირი. ნათლად ჩანს, რომ ერთ-ერთი მოქალაქეს, რომელიც ვიდეო კამერისკენ ზურგით იდგა, ყურადღება სრულიად მიპყრობილი ჰქონდა [redacted] და [redacted], რადგან იდგა და მათ უყურებდა.

აღნიშნულ ვიდეოჩანაწერს არ აქვს ხმა, ვინაიდან, აუდიოჩაწერა არ მიმდინარეობდა რესტორანში. შესაბამისად, ვერბალური კომუნიკაციის დროს, [redacted] მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა, აღნიშნული ვიდეოჩანაწერით ვერ დადასტურდებოდა. სწორედ ამიტომ, **საქმის ყველა დეტალის დაზუსტების მიზნით, საჭირო იყო იმ პირთა ვინაობის დადგენა და მათთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, ვინც იმყოფებოდა [redacted] და [redacted] სიახლოვეს, მათი საუბრისა და [redacted] დაკავების დროს, რაც არ განხორციელებულა სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი თანამშრომლ(ე)ის მიერ.**

ასევე, პოლიციის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებების თანახმად, ისინი უარყოფენ [redacted] მიერ ადვოკატთან ან ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნის ფაქტს. [redacted] ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ [redacted] განუმარტა დაკავებულის უფლებები, რა დროსაც შესთავაზა ოჯახის ან ადვოკატის ინფორმირება, რაზეც [redacted] განაცხადა უარი და აღნიშნა, რომ არ იყო საჭირო, რადგან მისი თანამშრომლები იყვნენ ინფორმირებულნი.

გენერალური ინსპექციის მიერ მოპოვებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალებში არ მოიპოვება პოლიციის თანამშრომლის მიერ შედგენილი ოქმი, რომელშიც მითითებული იქნებოდა დაკავებულის მიერ ოჯახის ინფორმირებასა და ადვოკატის მოწვევაზე უარის თქმის ფაქტი. **ადმინისტრაციული დაკავების ოქმის დაკავებულის უფლებების გაცნობის გრაფაში, პოლიციის თანამშრომელს მითითებული აქვს, რომ გააცნო უფლებები დაკავებულს, რომელმაც ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. შენიშვნის სახით არც აქ არის მითითებული, რომ დაკავებულმა ოჯახის წევრებისა და ადვოკატის ინფორმირებაზე განაცხადა უარი.**[17] **შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გენერალურ ინსპექციას სათანადოდ არ აქვს გამოკვლეული და შეფასებული.** მითუმეტეს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ასევე, სახალხო დამცველის აპარატში წარდგენილ საჩივარში, [redacted] მიუთითებდა, რომ ის [redacted] ოჯახის წევრი და ამავე დროს ადვოკატია, შესაბამისად, მისი ინფორმირების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამოცხადდებოდა განყოფილებაში და დაიცავდა დაკავებულის ინტერესებს.

გარდა ამისა, [redacted] გადმოცემით, პოლიციის მეექვსე განყოფილებაში იმყოფებოდა ორი საათის განმავლობაში და ამ პერიოდში 10-15-ჯერ მოითხოვა ხელბორკილის წინ გადმოტანა და მოშვება. უკან შეკრული ხელებით დივანზეც ვერ ჯდებოდა, ვინაიდან, დაზიანებული იყო დივანი და ნორმალურად დაჯდომის შემთხვევაში, დივნიდან ვარდებოდა.

მიუხედავად კანონით მინიჭებული უფლებამოსილებისა, გენერალური ინსპექციის მიერ პოლიციის მეექვსე განყოფილების ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები არ არის მოპოვებული და შესაბამისად, არ არის გადამოწმებული, დაკავებული ორი საათის განმავლობაში ნამდვილად ითხოვდა თუ არა ხელბორკილის შეხსნას (რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა მისი მხრიდან ჟესტიკულაცია), ექმნებოდა თუ არა დისკომფორტი უკან შეკრული ხელებით დივანზე დაჯდომისას და ვარდებოდა თუ არა იქიდან რეალურად. ამ საკითხის გადამოწმების მიზნით, გენერალური ინსპექციის მიერ ვიდეო ჩანაწერების მოპოვების მცდელობაც არ ფიქსირდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ **გენერალური ინსპექციის თანამშრომელს ახსნა-განმარტება არ ჩამოურთმევია** [redacted] თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის მიერ შედგენილი [redacted] გასაუბრების ოქმი საკმაოდ ინფორმაციულია და მოიცავს ცალკეულ დეტალებს უფლებადარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, **მისი გამოკითხვა მიზანშეწონილი იყო იმ მიზნით, რომ დადგენილი ყოფილიყო დაკავებისას ან დაკავების შემდგომ, განყოფილებაში ყოფნისას, მისი უფლების დარღვევის ფაქტების შემსწრე პირთა ვინაობა.**

ამასთანავე, წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სამსახურებრივი შემოწმების შედეგების შესახებ არ არის მომზადებული შესაბამისი ცნობა/დასკვნა.[18]

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება არასრულყოფილია. გენერალური ინსპექციის შესაბამისი თანამშრომლის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების, ყველა შესაძლო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირების გამოკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება სხვა შედეგით დასრულებულიყო. ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლ(ებ)ის ქმედება წარმოადგენს შესაძლო დისციპლინურ გადაცდომას, რაც წარმოადგენს მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოთ დისციპლინური წარმოება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლ(ებ)ის მიმართ,[19] რომელმაც ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება პოლიციის თანამშრომლის მხრიდან [redacted] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით;

2. განაახლოთ სამსახურებრივი შემოწმება [redacted] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და ჩაატაროთ იმგვარად, რომ მოპოვებული იქნას ამომწურავი ინფორმაცია ფაქტის ირგვლივ.

ამასთან, გთხოვთ, წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] [redacted] N9024/23 განცხადება.
[2]აღნიშნული საჩივრის ერთ-ერთი ადრესატი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია.
[3]საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 173, ნაწილი 1.
[4]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 7 აგვისტოს N15-15/7741 წერილი.
[5]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 27 დეკემბრის NMIA 6 23 03822515 წერილი.
[6]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 დეკემბრის N15-15/12383 და 1 თებერვლის N15-15/1234 წერილები.
[7]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 28 დეკემბრის NMIA 6 23 03840768 და 2024 წლის 6 თებერვლის NMIA 7 24 00357993 წერილები.
[8] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხ. 8, პუნქ. 1.
[9] იხ. იქვე, მუხ. 9, პუნქტი 1.
[10] იხ. იქვე, მუხ. 8, პუნქტი 2.
[11] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხ. 2, ქვეპ. „ბ“.
[12] იხ. იქვე, მუხ. 9, პუნქტი 2.
[13]იქვე, მუხლი 3, ქვეპუნქტი ბ[2].
[14]იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-generaluri-inspektsiebis-mushaobas-kvlav-araefektianad-miichmevs > [ბოლოს ნანახია: 22.04.2024]
[15] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.04.2022].
[16]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 65-66. <https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, 80. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040116015759558.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.04.2024];
აგრეთვე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 131-140 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.04.2024];
აგრეთვე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 219-223. https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf [ბოლოს ნანახია: 22.04.2024].
[17] [redacted] ადმინისტრაციული დაკავების N000007860 ოქმი.
[18]„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხ. 9, პუნქტი 5.
[19]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილ სამსახურებრივი შემოწმების მასალებში, არ არის მითითებული შემოწმების ჩამტარებელი პირ(ებ)ის ვინაობა.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შეტანილია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი